დამტკიცებულია

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“

დამფუძნებლის

18.03.2019 წლის გადაწყვეტილებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ქუთაისის უნივერსიტეტი

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველ
საჯარო რ
თარიღი
გვ.რაოდენ

ქუთაისი. 2019 წელი.

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები 3

თავი II. საზოგადოების პარტნიორები, მათი ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები 4

თავი III. საზოგადოების ქონება, კაპიტალი და ფინანსები 8

თავი IV. საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა 11

თავი V. საზოგადოების მართვის პრინციპები, მმართველი ორგანოები და ხელმძღვანელები 13

თავი VI. საზოგადოების თანამშრომლები, მათი უფლება-მოვალეობები 14

თავი VII. სტუდენტები, მათი უფლება-მოვალეობები 18

თავი VIII. მსმენელები, მათი უფლება-მოვალეობები 20

თავი IX. პარტნიორთა საერთო კრება, მისი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი 22

თავი X. აკადემიური საბჭო, მისი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი 26

თავი XI. რექტორი, მისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა.. 31

თავი XII. საზოგადოების წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობებში 33

თავი XIII. აღრიცხვა, ანგარიშგება, კონტროლი 34

თავი XIV. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია 36

თავი XV. დასკვნითი დებულებები 39

თავი I. ზოგადი დებულებები

1.1. დამფუძნებლის 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიცვალა და დამტკიცდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის უნივერსიტეტის" (ქვემოთ მოიხსენება, როგორც „საზოგადოება") ეს წესდება.

1.2. საზოგადოების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

1.3. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა „ქუთაისის უნივერსიტეტი".

1.4 საზოგადოების საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე Kutaisi University.

1.5. საზოგადოება რეგისტრირებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 1996 წლის 10 სექტემბერს რეგისტრაციის ნომრით 12/4-362. საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერია 212677094.

1.6. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის № 71 გადაწყვეტილებით, საზოგადოება არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - უნივერსიტეტი (ქვემოთ მოიხსენება, როგორც „უნივერსიტეტი").

1.7. საზოგადოების იურიდიული მისამართია:

ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, 13.

1.8. საზოგადოების ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართია:

ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, 13.

1.9. საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია:

info@unik.edu.ge.

1.10. საზოგადოების ძირითადი მიზანია მართლზომიერი და არაერთჯერადი ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობის წარმოება პარტნიორთა მიერ მოგების მიღების მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას შეუძლია, განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

1.11. საზოგადოება წარმოადგენს კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიულ პირს, აქვს საკუთარი ქონება, საბანკო ანგარიშები, სასაქონლო ნიშანი, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, გამოდის სასამართლოში მოპასუხედ და მოსარჩლედ.

1.12. საზოგადოებას აქვს საკუთარი ემბლემა (ლოგო), რომელიც გამოისახება მის ოფიციალურ დოკუმენტებზე.

1.13. საზოგადოება დაარსებულია განუსაზღვრელი ვადით.

1.14. საზოგადოების, როგორც იურიდიულ პირის, უფლებაუნარიანობა წარმოშობილია მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის დღიდან - 1996 წლის 10 სექტემბრიდან. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება საზოგადოებას აქვს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ შესაბამისი ლიცენზიის (№ 01-17-08/2204) გაცემის დღიდან - 1991 წლის 8 ოქტომბრიდან.

1.15. საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ წესდებით, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სამოქალაქო

კოდექსით, „მეწარმეთა შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუ საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, კერძო სამართლის სხვა სამეწარმეო იურიდიული პირის მონაწილე, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი ან წევრია, მისი დამატებითი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კერძო სამართლის ამ იურიდიული პირის წესდებით. საზოგადოების სხვა დამატებითი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მის მიერ სხვა პირებთან დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებით.

1.16. საზოგადოება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, აყალიბებს საკუთარი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს, რომელშიც აცხადებს უნივერსიტეტის მისიას და ხედვას. უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლსა და ადგილს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

1.17. უნივერსიტეტი ვალდებულია, მუდმივად ეძებდეს ახალ, პროგრესულ გზებსა და მეთოდებს, რათა მზად შეხვდეს თანამედროვე გამოწვევებს, არ ჩამორჩეს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებს, იყოს შესაბამისობაში ბოლონიის პროცესის მოთხოვნებთან.

1.18. კანონისმიერი და ნაკისრი ვალდებულებებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

1.19. საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორები პასუხს აგებენ მხოლოდ თავიანთი წილის ფარგლებში საზოგადოების კაპიტალში.

1.20. საზოგადოება პასუხს არ აგებს თავისი პარტნიორების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არაა საზოგადოების საქმიანობასთან.

თავი II. საზოგადოების პარტნიორები, მათი ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები

2.1. საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს კერძო სამართლის ნებისმიერი უფლებაუნარიანი იურიდიული პირი (გარდა თვითონ საზოგადოებისა) ან ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილია, იყოს ქონების მესაკუთრე.

2.2. საზოგადოების პარტნიორია:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„ევროპის უნივერსიტეტი“** *(რეგისტრირებული ქ. თბილისის დიდუბის რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 27 დეკემბერს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 2/4-2317, საიდენტიფიკაციო კოდი 201954956) წარმოდგენილი დირექტორ* **ლაშა კანდელაკიშვილის** (პ/ნ 40001006991)სახით.

2.3. ფიზიკური ან იურიდიული პირი საზოგადოების პარტნიორი ხდება მაშინ, როცა იგი საზოგადოების კაპიტალის გაზრდისას პარტნიორთა საერთო კრების გადაწყეტილების შესაბამისად ხდება ახალი წილის მესაკუთრე კაპიტალში ახალი შენატანების შეტანის გზით ან როცა იგი საკუთრებად მიიღებს უკვე არსებულ წილს ან წილის ნაწილს სხვა პარტნიორისაგან (პარტნიორებისაგან) ნასყიდობით, ჩუქებით, გაცვლით ან მემკვიდრეობით.

2.4. პარტნიორები მონაწილეობენ საზოგადოების საქმიანობასა და მართვაში ამ წესდებით განსაზღვრული პირობებით. თითოეული პარტნიორის უფლება, მონაწილეობდეს

საზოგადოების მართვასა და მისი მოგების განაწილებაში, დამოკიდებულია საზოგადოების კაპიტალში მისი წილის სიდიდეზე.

2.5. ამ წესდებით განსაზღვრულ ურთიერთობებში, იმ ურთიერთობების გარდა, რომლებიც სპეციალურადაა განსაზღვრული ან დაკავშირებულია სასამართლო პროცესებთან პარტნიორსა და საზოგადოებას შორის, საზოგადოების პარტნიორი ფიზიკური პირები მონაწილეობენ უშუალოდ. ამგვარ ურთიერთობებში პარტნიორის მონაწილეობა რწმუნებულის მეშვეობით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა პარტნიორს პატივსადები მიზეზით არ შეუძლია უშუალოდ შეასრულოს ესა თუ ის ქმედება. რწმუნებული პარტნიორს ურთიერთობებში წარმოადგენს მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, რომელიც წყდება მინდობილობაში მითითებული ვადის გასვლით ან პარტნიორის მიერ ამ წესდებით განსაზღვრული ურთიერთობის პირველი უშუალო შესრულების დღიდან მინდობილობაში მითითებული ვადის გასვლამდე. სასამართლო პროცესებში საზოგადოებასა და პარტნიორს შორის პარტნიორის წარმომადგენლობა რწმუნებულის მეშვეობით წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. საზოგადოების პარტნიორი იურიდიული პირები ამ პუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთობებში მონაწილეობენ მათივე წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

2.6. თუ საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება საზოგადოების წლიური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ გადაწყვეტს საზოგადოების წლიური მოგების განაწილებას პარტნიორთა შორის, თითოეულ პარტნიორს მიეცემა საზოგადოების წლიური მოგების ნაწილი (დივიდენდი) კაპიტალში მისი წილის პროპორციული ოდენობით. პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია, დაადგინოს დივიდენდების წინასწარ გაცემა სამეურნეო წლის განმავლობაში, საზოგადოების წლიური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ამ შემთხვევაში სამეურნეო წლის განმავლობაში წინასწარ გასაცემი დივიდენდების მთლიანი მოცულობა არ უნდა იყოს წინა სამეურნეო წლის მოგების ნახევარზე მეტი. დივიდენდების წინასწარ გაცემის შემთხვევაში დივიდენდი უნდა მიიღოს თითოეულმა პარტნიორმა საზოგადოების კაპიტალში მისი წილის პროპორციულად.

2.7. პარტნიორს შეუძლია, გაასხვისოს თავისი წილი ან წილის ნაწილი საზოგადოების კაპიტალში - გადასცეს მემკვიდრეობით, გაცვალოს სხვა საკუთრებაში, მიყიდოს ან აჩუქოს ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს ან ნებისმიერ მესამე პირს (პირებს), გარდა თვითონ საზოგადოებისა.

2.8. კაპიტალში პარტნიორის წილის ან წილის ნაწილის გასასხვისებლად (გარდა ერთი ან რამოდენიმე მემკვიდრისათვის გადაცემისა) საჭიროა პარტნიორთა საერთო კრების თანხმობა წილის/წილის ნაწილის მიმღებისა და, თუ წილი/წილის ნაწილი უნდა გასხვისდეს გაყიდვით, გასასხვისებელი წილის ან მისი ნაწილის ღირებულების მითითებით. წილის ან მისი ნაწილის გასაყიდ ღირებულებას ასახელებს წილის მესაკუთრე პარტნიორი. პარტნიორთა საერთო კრების უარი წილის/წილის ნაწილის გასხვისებაზე მისი მიმღების ვინაობის გამო უნდა იყოს დასაბუთებული. თუ წილი/წილის ნაწილი უნდა გასხვისდეს გაყიდვით, პარტნიორთა საერთო კრებას არ აქვს უფლება, უარი თქვას გაყიდვის უფლების მიცემაზე გასაყიდი ღირებულების გამო.

2.9. პარტნიორის მთელი წილის ან წილის ნაწილის გაყიდვის შემთხვევაში სხვა პარტნიორები სარგებლობენ მისი შეძენის უპირატესი უფლებით. პარტნიორმა

(პარტნიორებმა), რომელსაც სურს წილის ან წილის ნაწილის შეძენის უპირატესი უფლების გამოყენება, ეს უნდა განაცხადოს პარტნიორთა საერთო კრებაზე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის 2.8 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე, მაშინვე, როგორც კი წილის მესაკუთრე პარტნიორი დაასახელებს წილის/წილის ნაწილის გასაყიდ ღირებულებას. პარტნიორი, რომელიც ამას არ გააკეთებს, კარგავს წილის/წილის ნაწილის უპირატესი შეძენის უფლებას. თუ წილის/წილის ნაწილის უპირატესი შეძენის უფლების გამოყენების სურვილს გამოთქვამს რამოდენიმე პარტნიორი, გასაყიდი წილი/წილის ნაწილი განაწილდება მათ შორის საზოგადოების კაპიტალში მათი წილების პროპორციულად. თუ პარტნიორი/პატნიორები პარტნიორთა იმ კრების გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში, რომელზეც მან მიიღო წილის/წილის ნაწილის უპირატესი შეძენის უფლება, არ შეიძენს წილს/წილის ნაწილს, კარგავს უპირატესი შეძენის უფლებას ამ წილზე/წილის ნაწილზე.

2.10. პარტნიორს უფლება არ აქვს, საზოგადოების კაპიტალში თავისი წილი/წილის ნაწილი გაყიდოს იმაზე იაფად, რაც მითითებულია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაში, რომლითაც პარტნიორს მიეცა წილის/წილის ნაწილის გაყიდვის ნებართვა.

2.11. წილი ან წილის ნაწილი გასხვისებულად ითვლება შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებისა და შესაბამისი ცვლილებების მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

2.12. წილის (წილის ნაწილის) მესამე პირისათვის გადაცემის შემდეგ ამ პირზე გადადის ყოფილი პარტნიორის ყველა უფლება–მოვალეობა.

2.13. პარტნიორს უფლება აქვს, გამოიყენოს თავისი წილი საზოგადოების კაპიტალში, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება – გირაო. წილის დაგირავება ძალაშია მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. წილის დამგირავებელი პარტნიორი ვალდებულია, გირავნობის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ამ ხელშეკრულების ერთი ასლი წარუდგინოს საზოგადოების რექტორს. წილის დაგირავება არ ცვლის დამგირავებელი პარტნიორის უფლება-მოვალეობებს საზოგადოების მიმართ, კერძოდ, დაგირავების შემდეგაც დაგირავებულ წილს საზოგადოებასთან ურთიერთობებში წარმოადგენს მისი მესაკუთრე პარტნიორი.

2.14. პარტნიორს უფლება აქვს, გადასცეს თავისი წილი კაპიტალში მესამე პირს (წილის მმართველს) სამართავად საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით. მესამე პირისათვის წილის მინდობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა პარტნიორს პატივსადები მიზეზის გამო საშუალება არა აქვს, დიდი ხნის განმავლობაში თვითონ, უშუალოდ შეასრულოს საზოგადოების პარტნიორის ამ წესდებით განსაზღვრული მოვალეობები. წილის მესამე პირისათვის მისანდობად აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების თანხმობა. პარტნიორთა საერთო კრებას შეუძლია უარი თქვას ამგვარი თანხმობის მიცემაზე, თუ არ არსებობს პატივსადები მიზეზი იმისათვის, რომ პარტნიორმა თვითონ ვერ მართოს თავისი წილი ან როცა პარტნიორის მიერ შემოთავაზებული წილის მმართველი მიუღებელია დანარჩენი პარტნიორებისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა გამო. უარი წილის მმართველად მიღებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. წილის მინდობის ხელშეკრულება

ძალაშია მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. წილის მინდობის ძალაში შესვლის შემდეგ საზოგადოებასთან ყოველგვარ ურთიერთობას, გარდა დივიდენდების მიღების და კაპიტალში შესატანების შეტანისა, ახორციელებს წილის მმართველი. დივიდენდებს იღებს და კაპიტალში შესატანები შეაქვს წილის მესაკუთრე პარტნიორს. წილის მესაკუთრე პარტნიორს თავისი სახელით გამოსვლა ამ პუნქტით განსაზღვრულ ურთიერთობებში, რომლებშიც მას წარმოადგენს წილის მმართველი, შეუძლია მხოლოდ წილის მინდობის ხელშეკრულების გაწყვეტის შემდეგ. წილის მმმართველს არ აქვს უფლება, თავის მხრივ, წილი მინდობით გადასცეს სხვა პირს, გაასხვისოს ან დააგირაოს იგი წილის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. წილის მმართველის ქმედებით საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება წილის მესაკუთრე პარტნიორს. სხვა ურთიერთობები წილის მესაკუთრესა და მმართველს შორის წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

2.15. არ შეიძლება, პარტნიორის წილი მიეცეს გირაოდ ან მინდობით საზოგადოებას.

2.16. დაუშვებელია წილის ნაწილის დაგირავება ან მინდობით გადაცემა.

2.17. წილის (წილის ნაწილის) გასხვისება, წილის დაგირავება და მინდობით გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ წილის შესაბამისი შესატანები საზოგადოების კაპიტალში სრულადაა შეტანილი.

2.18. პარტნიორის პირადი ვალების დასაფარავად მისი ქონების უკმარისობის შემთხვევაში კრედიტორებს უფლება აქვთ, მოითხოვონ პარტნიორ–მევალის ნებისმიერი სხვა ქონებისა და უფლებების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება საზოგადოების კაპიტალში მისი წილის მიმართაც. ამ შემთხვევაზე არ ვრცელდება შეზღუდვები წილის/წილის ნაწილის გასხვისებაზე, გათვალისწინებული ამ თავის 2.8-2.9 პუნქტებით.

2.19. პარტნიორს, თუ მისი წილი არ აღემატება საზოგადოების კაპიტალის 50 პროცენტს და ეს წილი სრულადაა შეტანილი, შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საზოგადოების რექტორს თორმეტი ან მეტი თვით ადრე სამეურნეო წლის დამთავრებამდე. თუ პარტნიორის წილი კაპიტალის 50 პროცენტს აღემატება, საზოგადოებიდან მის გასასვლელად აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების თანხმობა. პარტნიორთა საერთო კრებას შეუძლია, უარი უთხრას პარტნიორს საზოგადოებიდან გასვლაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გასვლა არსებით საფრთხეს უქმნის საზოგადოებას.

2.20. გასულ პარტნიორს ეძლევა საზოგადოების ქონების ნაწილი კაპიტალში მისი წილის პროპორციული ოდენობით ფულადი თანხით ან, დარჩენილი პარტნიორების თანხმობის შემთხვევაში, ნატურით. გასული პარტნიორისათვის ნატურით მისაცემი ქონების ღირებულებას ადგენს დამოუკიდებელი აუდიტორი გასული პარტნიორისათვის წილის ნატურით მიცემის გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის ვადაში. ნატურით გასაცემი ქონების შეფასებისა და გადაცემის ხარჯები გამოიქვითება გასაცემი წილიდან ან ანაზღაურდება გასული პარტნიორის მიერ.

2.21. გასულ პარტნიორს მისი წილი საზოგადოების ქონებიდან მიეცემა საზოგადოების იმ სამეურნეო წლის წლიური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ, რომელშიც იგი გავიდა საზოგადოებიდან, მაგრამ არაუგვიანეს 12 თვისა საზოგადოებიდან გასვლის შესახებ

რექტორისათვის განცხადების წარდგენის დღიდან. ამ დღიდან შესაბამისად მცირდება კაპიტალი სათანადო წესების დაცვით.

2.22. გასულ პარტნიორს სამეურნეო წლის ბოლოს ეძლევა თავისი წილი იმ წლიური მოგებიდან, რომელიც მიიღო საზოგადოებამ იმ წელს მის გასვლამდე.

2.23. პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი და უფლება-მოვალეობანი გადაეცემა მის კანონიერ მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) ან სხვა პირებს ანდერძის შესაბამისად, როცა ანდერძი არსებობს. თუ პარტნიორი იურიდიული პირია, ეს წესი ვრცელდება მის უფლებამონაცვლეზე მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევებზე არ ვრცელდება შეზღუდვები წილის/წილის ნაწილის გასხვისებაზე, გათვალისწინებული ამ თავის 2.8-2.9 პუნქტებით.

2.24. ყოველი პარტნიორი ვალდებულია, შეიტანოს თავისი წილის შესაბამისი შესატანები საზოგადოების კაპიტალში ამ წესდებით განსაზღვრული ოდენობით, ფორმითა და წესით და დამატებითი შესატანები კაპიტალში პარტნიორთა საერთო კრების მიერ განსაზღვრული წესით.

2.25. თუ საზოგადოების კაპიტალში 5 პროცენტიანი ან უფრო დიდი წილი სხვა საწარმოს საკუთრება გახდება, პარტნიორმა საწარმომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით საზოგადოების რექტორს.

2.26. თუ პარტნიორი სხვა საწარმოა და მისი წილი საზოგადოების კაპიტალის 75%-ზე მეტია, იგი პასუხს აგებს საზოგადოებისათვის განზრახ მიყენებული ზიანისათვის, რომელიც უკავშირდება საზოგადოებასა და პარტნიორ საწარმოს შორის დადებულ გარიგებებს.

2.27. თუ ერთი ან ერთად მოქმედი პარტნიორები, რომლებსაც პრაქტიკული შესაძლებლობა აქვთ, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ პარტნიორთა საერთო კრებაზე კენჭისყრის შედეგებზე, თავიანთ მდგომარეობას განზრახ გამოიყენებენ საზოგადოების საზიანოდ, ისინი ვალდებული არიან, გადაუხადონ სათანადო კომპენსაციები დანარჩენ პარტნიორებს.

2.28. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიიღოს საზოგადოების წლიური ანგარიშგებისა და ყველა სხვა პუბლიკაციის ასლი, წლიური ანგარიშგების სისწორის შესამოწმებლად პირადად ან აუდიტორის მეშვეობით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს და მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების ხელმძღვანელი პირებისაგან.

2.29. ამ წესდებით განსაზღვრული ურთიერთობების ფარგლებში ყოველგვარი დავა პარტნიორთა შორის ან პარტნიორსა და საზოგადოებას შორის განიხილება სასამართლოს ან, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, არბიტრაჟის მიერ.

თავი III. საზოგადოების ქონება, კაპიტალი და ფინანსები

3.1. საზოგადოების ქონება შედგება ფულადი სახსრების, უძრავი ქონების, მოძრავი ნივთებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, წილებისაგან სხვა საწარმოთა კაპიტალში, ქონებრივი და უფლებრივი მოთხოვნებისაგან მესამე პირთა მიმართ, რომლებზეც საკუთრების უფლებაც საზოგადოებას მოპოვებული აქვს კანონიერად.

3.2. საზოგადოების ქონების ფორმირების წყაროებია:

- პარტნიორთა შენატანები საზოგადოების კაპიტალში;
- აკადემიური უმაღლესი განათლების ან სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტის/მსმენელის სწავლების საფასური, რომელიც იფარება

სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით, სტუდენტის/ მსმენელის ან მესამე პირის მიერ;

- ყველა სხვა სახის სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული ამონაგები;
- საქართველოს სამინისტროების ან ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
- შემოსავლები საზოგადოების კუთვნილი ფასიანი ქაღალდებიდან, წილებიდან სხვა საწარმოთა კაპიტალში, სხვა ქონებრივი უფლებებიდან და მოთხოვნებიდან;
- საზოგადოების მიერ ბანკისა და სხვა კრედიტორებისაგან მიღებული სესხები;
- მესამე პირთა საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის ნაყოფი;
- გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
- მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული სხვა გზებით მოპოვებული ქონება.

3.3. კაპიტალი არის საზოგადოების ქონების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს პარტნიორთა პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალდებულებებისათვის და რომელიც განაწილდება პარტნიორებზე საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში. კაპიტალი ყალიბდება პარტნიორთა შენატანებისა და ამ შენატანებით წარმოებული სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების იმ ნაწილის ხარჯზე, რომელიც არ ნაწილდება პარტნიორებზე დივიდენდებად.

3.4. პარტნიორთა შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება იყოს ფულადი სახსრები (მათ შორის უცხოური ვალუტა), მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება, ნებისმიერი მოძრავი ნივთი, სხვა მატერიალური ქონებრივი ობიექტები ან არამატერიალური ქონება, თუ ეს ქონება კაპიტალში შეტანამდე წარმოადგენდა პარტნიორის საკუთრებას, აგრეთვე - საზოგადოებისათვის პარტნიორის მიერ ან მისი სახელით მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება.

3.5. საზოგადოების კაპიტალში პარტნიორთა მიერ შეტანილი არაფულადი მატერიალური და არამატერიალური ქონების, შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

3.6. პარტნიორის შესატანი საზოგადოების კაპიტალში ფასდება საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად ერთეულში.

3.7. პარტნიორთა შენატანები კაპიტალში, თუ ეს შესაძლებელია, მიმოიქცევა ჩვეულებრივად, ისე - როგორც საზოგადოების დანარჩენი ქონება.

3.8. პარტნიორის წილი საზოგადოების კაპიტალში არის მისი შენატანების მთლიანი ღირებულების თანაფარდობა ყველა პარტნიორის შენატანების ღირებულებათა ჯამთან, გაზომილი პროცენტებში მეასედების სიზუსტით.

3.9. მოცემულ მომენტში საზოგადოების კაპიტალის ნომინალური ღირებულება არის სხვაობა საზოგადოების აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის. ამავე მომენტში პარტნიორის წილის ნომინალური ღირებულებაა კაპიტალის ნომინალური ღირებულების იმდენი პროცენტი, რამდენსაც შეადგენს ამ პარტნიორის წილი. გასხვისებით პარტნიორის წილის სიდიდე და ნომინალური ღირებულება არ იცვლება.

3.10. ამათუიმ პარტნიორის წილი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ სხვა წილის ან მისი ნაწილის შეძენით (ან სხვა კანონიერი ფორმით მიღებით მისი მესაკუთრისაგან) ან დამატებითი შენატანების განხორციელების გზით პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად.

3.11. ამ წესდების დამტკიცების დღეს პარტნიორთა წილები საზოგადოების კაპიტალში შეადგენს:

- შპს „ევროპის უნივერსიტეტი"(ს/კ#*201954956)* - 100,00 % (ასი) პროცენტს;

3.12. შენატანი (შენატანის ნაწილი) კაპიტალში შეიძლება, უკან დაუბრუნდეს პარტნიორს და შესაბამისად შემცირდეს მისი წილი კაპიტალში. თუ შენატანი კაპიტალში რამოდენიმე პარტნიორის წილობრივ-საკუთრებითი არაფულადი ობიექტი იყო, შენატანი (შენატანის ნაწილი) პარტნიორს დაუბრუნდება შესაბამისი ფულადი თანხით.

3.13. საზოგადოების ფინანსური რესურსები ყალიბდება კაპიტალის შენატანების ფულადი ნაწილის, არაფულადი აქტივების რეალიზაციით მიღებული ფულადი თანხების, სხვა საწარმოთა მოგებიდან მიღებული ფულადი დივიდენდების, ფულადი მოგების, ამორტიზაციის ანარიცხების, ფულადი გრანტებისა და შემოწირულობების და სხვა ფინანსური სახსრების ხარჯზე.

3.14. საზოგადოებას, დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაციისათვის, შეუძლია, გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, აიღოს სესხები საბანკო დაწესებულებების, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან.

3.15. საზოგადოების მიერ მიღებული ამონაგებიდან, პირველ რიგში, იფარება მიმდინარე ვალდებულებები, მათ შორის შრომის ანაზღაურების ხარჯები, კანონით დადგენილი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, კრედიტთა მომსახურების პროცენტები.

3.16. ამ თავის 3.15 პუნქტით განსაზღვრული ანაზღაურებების შემდეგ, მის განკარგულებაში დარჩენილი მოგების (წმინდა მოგების) ხარჯზე, საზოგადოებას შეუძლია, შექმნას რეზერვი. რეზერვის წარმოქმნის ნორმატივი და მისი გამოყენების მიმართულებები განიხილება და მტკიცდება პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

3.17. დარჩენილი მოგება, რეზერვის შევსების, კანონმდებლობით განსაზღვრული და პარტნიორთა საერთო კრების მიერ დაწესებული სხვა ფონდების ფორმირების შემდეგ, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, შეიძლება განაწილდეს პარტნიორთა შორის კაპიტალში მათი წილების პროპორციულად. თუ პარტნიორთა საერთო კრება დაადგენს, რომ მოგება (მისი ნაწილი) არ განაწილდეს, მაშინ იგი ემატება საზოგადოების კაპიტალს.

3.18. ფულად ანგარიშსწორებას იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან საზოგადოება აწარმოებს საანგარიშსწორებო და სალარო ოპერაციების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. საზოგადოება თვითონ ირჩევს საბანკო დაწესებულებას საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების განსახორციელებლად.

3.19. საზოგადოების საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა მესამე პირთა სასარგებლოდ, როცა ეს დაკავშირებული არაა ნაკისრ ვალდებულებასთან ან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობასთან, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3.20. საზოგადოების კაპიტალი და სხვა დანარჩენი ქონება წარმოადგენს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის საკუთრებას. არცერთ პარტნიორს, მიუხედავად საზოგადოების კაპიტალში მისი წილის სიდიდისა, არა აქვს კაპიტალისა და საზოგადოების სხვა ქონების განკარგვის უფლება საზოგადოების თანხმობის გარეშე.

3.21. არცერთ პარტნიორს, იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რაც მას ეკისრება ამ წესდებითა და კანონმდებლობით, საზოგადოების ქონებიდან არ შეიძლება მიეცეს რაიმე სხვა საზღაური, გარდა დივიდენდისა.

თავი IV. საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა

4.1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია:

- სტუდენტთა სწავლება აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით, ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადების მიზნით;
- სპეციალისტთა სწავლება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებით მათი პროფესიული ცოდნის სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მათ შორის „უწყვეტი სწავლების" რეჟიმით;
- მსურველთა სწავლება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებით აკადემიური ხარისხის და/ან კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე;
- სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი სამუშაოების წარმოება;
- საგამომცემლო საქმიანობა.

4.2. აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადების მიზნით საზოგადოება ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესებით მხოლოდ მაშინ, როცა იგი, ავტორიზაციის საფუძველზე, რეგისტრირებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. ამ პერიოდში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით, აგრეთვე - რეგულირებადი პროფესიების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებას საზოგადოება ახორციელებს მხოლოდ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით.

4.3. სპეციალისტთა პროფესიული ცოდნის სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების, დაინტერესებულ პირთათვის სხვადასხვა სფეროში დამატებითი ცოდნის მიწოდების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამებს (სერტიფიცირებად საგანმანათლებლო პროგრამებს) საზოგადოება ახორციელებს ამ პროგრამების მსმენელთათვის კვალიფიკაციის ან/და აკადემიური ხარისხის მინიჭების გარეშე.

4.4. საზოგადოებას შეუძლია, განახორციელოს ნებისმიერი სხვა სამეურნეო საქმიანობაც, თუკი ეს არაა აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

4.5. თუ ამათუიმ საქმიანობისათვის მოქმედი კანონმდებლობით საჭიროა სახელმწიფოს განსაკუთრებული ნებართვა, ლიცენზია, ავტორიზაცია ამ საქმიანობის განხორციელებას საზოგადოება იწყებს მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან შესაბამისი ნებართვის, ლიცენზიის ან ავტორიზაციის მიღების შემდეგ.

4.6. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად საზოგადოება:

- განსაზღვრავს სასწავლო, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- შეიმუშავებს და ახორციელებს ხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის ერთობლივად ან გაცვლით საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკლავრიატის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თავისი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხსა და კვლიფიკაციას;
- ეწევა აკადემიური პერსონალის, მასწავლებლებისა და სტუდენტების საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას;
- ორგანიზებას უწევს სასწავლო და მეთოდურ კურსებსა და სემინარებს აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალისათვის, მონაწილეობს მესამე პირთა მიერ ორგანიზებულ მსგავს ღონისძიებებში;
- ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებას სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების მიზნით;
- ახორციელებს სამეცნიერო და კვლევით სამუშაოებს;
- გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალებს, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებს, სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ხასიათის წიგნებს;
- უზრუნველყოფს წარჩინებულ სტუდენტთა მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, მათ სტაჟირებას საქართველოსა და უცხოეთის ორგანიზაცია-დაწესებულებებში;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ამყარებს კავშირებს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სხვა სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან, ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებთან;
- ახორციელებს ღონისძიებებს სტუდენტთა თავისუფალი დროის ორგანიზებისათვის - ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული, სასპორტო და შემოქმედებითი კლუბების საქმიანობას;
- აწყობს და მონაწილეობს კონფერენციებში, გამოფენებსა და კონკურსებში;
- აწარმოებს თავისი ქონების რეკონსტრუქცია-გაფართოებასა და კაპიტალურ შეკეთებას;
- შეიძენს საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;
- მონაწილეობს სხვა საწარმოებში, როგორც პარტნიორი ან აქციონერი;
- აარსებს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, მონაწილეობს ასეთი იურიდიული პირების საქმიანობაში, როგორც დამფუძნებელი ან წევრი;
- იღებს დოტაციებს განვითარებისა და სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად, აგრეთვე – კრედიტებსა და ავანსებს საბანკო დაწესებულებებისაგან თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

- აწარმოებს ზედმეტი და გამოუყენებელი მოწყობილობის, სხვა მატერიალური ფასეულობების რეალიზაციას.

4.7. საზოგადოება ვალდებულია:

ა) შეასრულოს სახელშეკრულებო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საგადასახადო და სხვა ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან და მის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან;

ბ) უზრუნველყოს მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალურად გამოყენება, დააწესოს კონტროლი თავისი საქმიანობის სფეროში ეკოლოგიური პირობების დაცვაზე;

გ) აანაზღაუროს მიწის, წყლის, სხვა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით, გარემოს დაბინძურებით, შრომის უსაფრთხოების წესების და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით გამოწვეული ზიანი, გადაიხადოს დაწესებული ჯარიმები;

დ) დაიცვას ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის ყველა ნორმა.

4.8. საზოგადოება დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებებს და განვითარების პერსპექტივებს, განკარგავს თავის პროდუქციასა და შემოსავალს.

4.9. საზოგადოება საკუთარი პროდუქციის ან იმპორტით მიღებული ფასეულობების, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და წარმოების ნარჩენების რეალიზაციას ახდენს დამოუკიდებლად დადგენილი ფასებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებისა, როცა საქონლის, მომსახურების ან სამუშაოების ღირებულება რეგულირდება შესაბამისი ტარიფებით.

4.10. სამეურნეო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი დავა საზოგადოებასთან საქმიან ურთიერთობებში მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან განიხილება სასამართლოს ან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V. საზოგადოების მართვის პრინციპები, მმართველი ორგანოები და ხელმძღვანელები

5.1. საზოგადოების მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების დებულებათა დაცვით.

5.2. საზოგადოების, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისას დაცული უნდა იყოს პრინციპები:

- უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და ხელმძღვანელების გადაწყვეტილებათა საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა მართვის პროცესში;
- აკადემიური პერსონალისა და მმართველი ორგანოების არჩევითობა სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფით;
- თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა.

5.3. საზოგადოების მმართველი ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და აკადემიური საბჭო.

5.4. საზოგადოების ხელმძღვანელი პირია რექტორი.

5.5. ორგანიზაციულად საზოგადოება შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან.

5.6. სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი განისაზღვრება საზოგადოების შინაგანაწესით. მათი ფუნქციები, საქმიანობის წესი დგინდება საზოგადოების დებულებითა და სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით, რომლებსაც ამტკიცებს რექტორი.

5.7. როდესაც საზოგადოება ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, აუცილებელია, სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის იყოს, სულ ცოტა, ერთი ფაკულტეტი - ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული.

5.8. ფაკულტეტები აერთიანებს ფაკულტეტის აკადემიურ, მასწავლებელთა, მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალსა და სტუდენტებს და შედგება დეპარტამენტების და სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან.

5.9. ფაკულტეტის მმართველი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, ხელმძღვანელი - დეკანი.

5.10. ფაკულტეტის სტრუქტურა, მისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის წესი, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა, ფუნქციები და საქმიანობის წესი, დეკანისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელთა უფლებამოსილებები, არჩევის/დანიშვნის წესი დგინდება საზოგადოების დებულებით.

თავი VI. საზოგადოების თანამშრომლები, მათი უფლება-მოვალეობები

6.1. საზოგადოების თანამშრომელი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი, სრულწლოვანი ფიზიკური პირი.

6.2. საზოგადოების თანამშრომელი, თავისი მოვალეობების მიხედვით, მიეკუთვნება ერთ-ერთს შემდეგი 7 კატეგორიიდან:

ა) ადმინისტრაციული პერსონალი: რექტორი, საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები (მათ შორის ფაკულტეტის დეკანი), ფაკულტეტის დეპარტამენტების და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

ბ) აკადემიური პერსონალი: პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები;

გ) მასწავლებელთა პერსონალი: უფროსი მასწავლებლები, მასწავლებლები;

დ) მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი: მოწვეული პროფესორები, მოწვეული მასწავლებლები;

ე) სერტიფიცირებადი საგანამანათლებლო პროგრამების მასწავლებელთა პერსონალი: სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლები;

ვ) მეცნიერთა და მკვლევართა პერსონალი: სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი პროექტების/პროგრამების ხელმძღვანელები და მკვლევარები;

ზ) დამხმარე პერსონალი: თანამშრომლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა"-„ვ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს.

6.3. აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა კატეგორიების პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები, უფროსი მასწავლებლები, მასწავლებლები, მოწვეული პროფესორები და მასწავლებლები) ახორციელებს სწავლებას აკადემიური უმაღლესი განთლების საგანმანათლებლო პროგრამებით. ამ კატეგორიების პერსონალის თითოეული თანამდებობის ფუნქცია და უფლებამოსილება აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში განისაზღვრება შპს ქუთაისის

უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოთი, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

6.4. პროფესორად შეიძლება დაინიშნოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის კლინიკური დისციპლინებისათვის აგრეთვე ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება.

6.5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის კლინიკური დისციპლინებისათვის, აგრეთვე ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება.

6.6. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით. მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის კლინიკური დისციპლინებისათვის, აგრეთვე ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება.

6.7. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს დოქტორანტი 3 წლის ვადით.

6.8. ასოცირებულ პროფესორად ან ასისტენტ-პროფესორად შეიძლება დაინიშნოს ასევე შესაბამისი კვალიფიციის მქონე პირი პროფესიული ნიშნით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს აკადემიური უმაღლესი განათლების იმ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობს იგი, ხოლო კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. პირობები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ასეთი პირის კვალიფიკაცია, ზუსტდება საზოგადოების შინაგანაწესით.

6.9. ასოცირებულ პროფესორად, გარდა მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამისა, ასევე შეიძლება დაინიშნოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, თუ მას ბოლო 10 წლის განმავლობაში იმ დარგში, რომელსაც მიეკუთვნება აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი (კომპონენტები), რომელიც მან უნდა ასწავლოს ან უხელმძღვანელოს, აქვს ხელმძღვანელ/მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე მუშაობის, სულ ცოტა, 5 წლის გამოცდილება და გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია ან ერთზე მეტი პუბლიკაცია რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში ან მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო ან ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოში.

6.10. ასისტენტ-პროფესორად, გარდა მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამისა, ასევე შეიძლება დაინიშნოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, თუ მას ბოლო 10 წლის განმავლობაში, იმ დარგში, რომელსაც მიეკუთვნება აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი (კომპონენტები), რომელიც მან უნდა ასწავლოს ან უხელმძღვანელოს, აქვს მუშაობის, სულ ცოტა, 5 წლის გამოცდილება და გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია ან პუბლიკაცია რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში ან მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო ან ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოში.

6.11. საზოგადოება უფლებამოსილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციისა და აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შინაგანაწესით განსაზღვროს დამატებითი პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესორად, ასოცირებულ პროფესორად, ასისტენტ-პროფესორად ან ასისტენტად დასანიშნი/დანიშნული პირი.

6.12. აკადემიური პერსონალი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება სავალდებულო ატესტაციას, რომლის წესსაც ადგენს აკადემიური საბჭო.

6.13. მოწვეული პროფესორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ თავის 6.4, 6.7, 6.8 ან 6.11 და 6.12 პუნქტების პირობებს.

6.14. მასწავლებლის, ან მოწვეული მასწავლებლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება.

6.15. უფროსი მასწავლებლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც აქვს მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

6.16. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანამშრომლები თანამდებობაზე ინიშნებიან უვადოდ ან ვადით არაუმეტეს 30 თვისა.

6.17. მოწვეული პროფესორები და მასწავლებლები თანამდებობაზე ინიშნებიან ერთი სემესტრის ან ერთი აკადემიური წლის ვადით.

6.18. სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლები თანამდებობაზე ინიშნებიან შესაბამისი სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ციკლის განხორციელების ვადით.

6.19. მეცნიერთა და მკვლევართა პერსონალის თანამშრომლები თანამდებობაზე ინიშნებიან შესაბამისი სამეცნიერო/გამოყენებითი კვლევითი პროექტის შესრულების ვადით.

6.20. თანამშრომელი საზოგადოებაში სამუშაოდ შეიძლება მიღებულ იქნეს კონკურსის საფუძველზე, ან მის გარეშე.

6.21. აკადემიური პერსონალის თანამშრომლებად ინიშნებიან მხოლოდ შესაბამისი საჯარო კონკურსის გამარჯვებულები. აკადემიური პერსონალის შესარჩევი საჯარო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება საზოგადოების შინაგანაწესით. საზოგადოების დებულებით განისაზღვრება ფაკულტეტების დეკანისა და ფაკულტეტის დეპარტამენტების ხელმძღვანელების არჩევის წესი და პირობები.

6.22. მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომლები სამუშაოდ მიიღებიან კონკურსის გარეშე.

6.23. დანარჩენი თანამშრომლების (გარდა რექტორის, ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალისა) სამუშაოდ მიღების წესი და პირობები დგინდება ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო ინსტრუქციით, რომელსაც, შინაგანაწესის საფუძველზე, ამტკიცებს რექტორი.

6.24. სხვადასხვა კატეგორიების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ფორმა და წესი განისაზღვრება საზოგადოების შინაგანაწესით.

6.25. კონკრეტული თანამშრომლის შრომის ანაზღაურების - ხელფასის - ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების

საფუძველზე, რომელიც მიიღება თანამშრომლის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით.

6.26. ხელფასის გარდა თანამშრომლებზე გასაცემი სხვა ანაზღაურებებისა და კომპენსაციების ჩამონათვალი განისაზღვრება საზოგადოების შინაგანაწესით, ხოლო მათი, აგრეთვე შრომის ანაზღაურების გაანგარიშებისა და გაცემის წესები - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ანგარიშსწორების ინსტრუქციით, რომელიც დგება მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის ნორმათა დაცვით და მტკიცდება რექტორის მიერ.

6.27. პირი საზოგადოების თანამშრომლად ინიშნება რექტორის ბრძანებით. ბრძანების გამოცემის წესი დგინდება შინაგანაწესით.

6.28. შრომითი ურთიერთობები თანამშრომლებსა და საზოგადოებას შორის ემყარება შრომით ხელშეკრულებას საზოგადოებასა და თანამშრომელს შორის, რომელიც არეგულირებს ამ ურთიერთობებს საზოგადოების წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე.

6.29. შინაგანაწესი განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომელთა იმ ზოგად უფლება-მოვალეობებს და აწესრიგებს საზოგადოებასა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობათა იმ საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არაა რეგლამენტირებული.

6.30. კონკრეტული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მისი სამუშაოს აღწერილობით, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია. სამუშაოს აღწერილობის ფორმა განისაზღვრება ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო ინსტრუქციით.

6.31. საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი სამუშაო გარემოთი, მათ შორის უზრუნველყოს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების, საწარმო სანიტარიის მოთხოვნების შესრულება.

6.32. საზოგადოება პასუხს აგებს თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობისათვის მიყენებული ზიანისათვის შრომის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.33. საზოგადოების თანამშრომელი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები, დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და საზოგადოებაში ქცევის დადგენილი წესები.

6.34. ქცევათა ჩამონათვალი, რომელიც ჩაითვლება ქცევის დადგენილი წესების დარღვევად, განისაზღვრება საზოგადოების შინაგანაწესით. შინაგანაწესითვე განისაზღვრება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რომლებიც თანამშრომელს შეიძლება შეეფარდოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების ან ქცევის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში.

6.35. თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შრომის მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დაცვით.

6.36. შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული ყველა სადაო საკითხი, შრომის ანაზღაურების საკითხთა ჩათვლით, განიხილება რექტორის მიერ საქართველოს შრომის კოდექსისა და საზოგადოების შინაგანაწესის შესაბამისად, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ.

თავი VII. სტუდენტები, მათი უფლება-მოვალეობები

7.1. სტუდენტი არის ფიზიკური პირი, რომელიც ჩაირიცხა უნივერსიტეტში და სწავლობს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო (მათ შორის გაცვლითი ან ერთობლივი) პროგრამით.

7.2. უნივერსიტეტის სტუდენტად პირი ჩაირიცხება რექტორის ბრძანებით, საზოგადოების დებულებით დადგენილი წესით, რექტორის მიერ დამტკიცებული „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების წესით" განსაზღვრული პროცედურებით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტების ნორმების დაცვით.

7.3. უნივერსიტეტის სტუდენტად ჩარიცხული პირი იძენს სტუდენტის სტატუსს.

7.4. სტუდენტის სტატუსი პირს შეიძლება შეუჩერდეს ან შეუწყდეს საზოგადოების დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამავე შინაგანწესით დადგენილი წესით.

7.5. ურთიერთობებს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის აწესრიგებს სწავლება-სწავლის ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება პირის სტუდენტად ჩარიცხვისთანავე. სწავლება-სწავლის ხელშეკრულების ფორმას ამტკიცებს რექტორი. ხელშეკრულებას საზოგადოების სახელით ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი. თუ სტუდენტი არასრულწლოვანია, სწავლა-სწავლების ხელშეკრულებას მასთან ერთად ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

7.6. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის პერიოდში სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი სამუშაოების შესრულებაში;

გ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტურ თვითმმართველობასა და დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით და ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებში;

ე) მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული, აკადემიური, მასწავლებელთა, მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა, დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასებაში;

ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც თავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ) დააარსოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

თ) მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და დებულების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ი) მონაწილეობა მიიღოს თავისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შედგენაში;

კ) აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის პარალელურად, საზოგადოების მიერ დაწესებული შეღავათიანი პირობებით, ისწავლოს საზოგადოების ერთი ან რამოდენიმე სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამით.

7.7. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის, მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, საზოგადოება აწესებს ინდივიდუალურ შეღავათებს სტიპენდიის დანიშვნის, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობისა და ანალოგიური ღონისძიებების სახით. მსგავსი შეღავათები, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის მიმართვის საფუძველზე, შეიძლება დაწესდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული სტუდენტებისთვისაც.

7.8. სტუდენტი ვალდებულია, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოს შესაბამისად, არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისწავლოს ყველა ის კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია ან/და რომლის სწავლაც სავალდებულოა შესაბამისი აკადემიური ხარისხის და კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, დაიცვას საზოგადოების წესდებისა და დებულების ნორმები, შეასრულოს საზოგადოების მმართველი ორგანოებისა და ხელმძღვანელების გადაწყვეტილებები.

7.9. სტუდენტი ვალდებულია, განუხრელად დაიცვას ამ წესდებით, დებულებითა და „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსით" დადგენილი ქცევის წესები.

7.10. ამ თავის 7.9 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევისათვის სტუდენტს შეეფარდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომა, გათვალისწინებული საზოგადოების დებულებითა და „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსით".

7.11. „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსს", საზოგადოების დებულების საფუძველზე, ადგენს ფაკულტეტის მმართველი ორგანო (ფაკულტეტის საბჭო) და ამტკიცებს რექტორი.

7.12. გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და პასუხისმგებლობის ზომაზე მიიღება დისციპლინური წარმოების პროცესში. დისციპლინური წარმოება სტუდენტის მიმართ ხორციელდება საზოგადოების დებულებით დადგენილი წესით.

7.13. თუ სტუდენტის ქმედებით საზოგადოებას მიადგება ფულადი ან მატერიალური ზიანი, სტუდენტი ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი დებულებით დადგენილი წესით. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

7.14. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი კურსდამთავრებულ სტუდენტს ანიჭებს, შესაბამისად, ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიურ ხარისხს და წარმატებით გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კვალიფიკაციას დებულებით დადგენილი წესით.

7.15. კურსდამთავრებულ სტუდენტს, რომელსაც მიენიჭა აკადემიური ხარისხი, უნივერსიტეტი აძლევს შესაბამის დიპლომს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტად. დიპლომთან ერთად სტუდენტს ეძლევა დიპლომის სტანდარტული დანართი.

7.16. აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების საფასური, ფასდაკლებები ამა თუ იმ კატეგორიის სტუდენტებისათვის და სწავლების საფასურთან დაკავშირებული სხვა შეღავათები ყოველწლიურად, მოცემულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, დგინდება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. თუ ასეთი გადაწყვეტილება სწავლების საფასურის შესახებ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე მიღებულ არ იქნა, ძალაში რჩება ბოლო გადაწყვეტილება იგივე საკითხზე.

7.17. კონკრეტული სტუდენტის სწავლების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების ან სწავლების საფასურის გადახდის გადავადების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის მიმართვის საფუძველზე, რომელიც მიიღება დებულებით განსაზღვრული წესით.

7.18. საზოგადოების დებულებით დგინდება სტიპენდიები აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული სტუდენტებისათვის. დებულებითვე განისაზღვრება სტიპენდიების მინიჭების წესი.

7.19. პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია, შემოიღოს ისეთი სტიპენდიები და მათი მინიჭების წესი, რომლებიც გათვალისწინებული არაა ამ თავის 7.18 პუნქტით.

7.20. სწავლების საფასურის გადახდის, სტიპენდიების გაცემის და სტუდენტებთან სხვა ანგარიშსწორების წესები დგინდება დებულებით.

7.21. სამართლებრივი ურთიერთობები სტუდენტსა და საზოგადოებას შორის, რომელიც ამ წესდებით არაა რეგლამენტირებული, წესრიგდება საზოგადოების დებულებით, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოთი, აკადემიური საბჭოს სხვა გადაწყვეტილებებით, რექტორის და ფაკულტეტის დეკანის ბრძანებებით.

7.22. ნებისმიერი დავა სტუდენტსა და საზოგადოებას შორის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით განიხილება რექტორის მიერ, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლოს მიერ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსით" დადგენილი წესით.

თავი VIII. მსმენელები, მათი უფლება-მოვალეობები

8.1. მსმენელი არის ფიზიკური პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტის ერთი ან რამოდენიმე სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამით.

8.2. უნივერსიტეტის მსმენელად პირი ჩაირიცხება რექტორის ბრძანებით, საზოგადოების დებულებით დადგენილი წესით.

8.3. ურთიერთობებს უნივერსიტეტსა და მსმენელს შორის აწესრიგებს სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება პირის მსმენელად ჩარიცხვისთანავე. ხელშეკრულების ფორმას ამტკიცებს და საზოგადოების სახელით ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი. თუ

მსმენელი არასრულწლოვანია, სწავლა-სწავლების ხელშეკრულებას მასთან ერთად ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

8.4. უნივერსიტეტში სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის პერიოდში მსმენელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ბ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც თავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

გ) მონაწილეობა მიიღოს თავისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში.

8.5. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის მიმართვის საფუძველზე, შეიძლება დაწესდეს ინდივიდუალური შეღავათები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მსმენელებისათვის.

8.6. მსმენელი ვალდებულია, რექტორის მიერ დამტკიცებული „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების სახელმძღვანელოს" შესაბამისად, არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია ან/და რომლის სწავლაც სავალდებულოა, დაიცვას საზოგადოების წესდებისა და დებულების ნორმები, შეასრულოს საზოგადოების მმართველი ორგანოებისა და ხელმძღვანელების გადაწყვეტილებები.

8.7. მსმენელი ვალდებულია, განუხრელად დაიცვას ამ წესდებითა, შინაგანაწესითა და დებულებით შპს ქუთაისის უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის დადგენილი ქცევის წესები.

8.8. ამ თავის 8.7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევისათვის მსმენელი გაირიცხება უნივერსიტეტიდან რექტორის ბრძანებით.

8.9. გადაწყვეტილება ვალდებულებათა დარღვევის გამო მსმენელის გარიცხვაზე მიიღება დისციპლინური წარმოების პროცესში. დისციპლინური წარმოება მსმენელის მიმართ ხორციელდება საზოგადოების შინაგანაწესით თანამშრომელთათვის დადგენილი წესით.

8.10. თუ მსმენელის ქმედებით საზოგადოებას მიადგება ფულადი ან მატერიალური ზიანი, მსმენელი (მისი კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი შინაგანაწესით თანამშრომლებისათვის დადგენილი ფორმითა და ოდენობით. ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება იყოს საფუძველი მსმენელის გარიცხვის გადაწყვეტილების გაუქმებისა.

8.11. სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი კურსდამთავრებულ მსმენელს აძლევს შესაბამის სერტიფიკატს სტანდარტული დანართით.

8.12. მსმენელი, რომელმაც მიიღო სერტიფიკატი, გაირიცხება უნივერსიტეტის შესაბამისი სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამიდან.

8.13. თითოეული სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების საფასური, ფასდაკლებები ამათუიმ კატეგორიის მსმენელებისათვის და სწავლების საფასურთან დაკავშირებული სხვა შეღავათები დგინდება პარტნიორთა საერთო კრების

გადაწყვეტილებით შესაბამისი პროგრამით სასწავლებლად მიღების გამოცხადებამდე. თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არაა, სასწავლებლად მიღება არ შეიძლება გამოცხადდეს.

8.14. კონკრეტული მსმენელის სწავლების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების ან სწავლების საფასურის გადახდის გადავადების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის მიმართვის საფუძველზე, რომელიც მიიღება დებულებით დადგენილი წესით.

8.15. სწავლების საფასურის გადახდის წესი დგინდება საზოგადოების დებულებით.

8.16. სწავლების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მსმენელი გაირიცხება პროგრამიდან შინაგანაწესით დადგენილი წესით.

8.17. სამართლებრივი ურთიერთობები მსმენელსა და საზოგადოებას შორის, რომელიც ამ წესდებით არაა რეგლამენტირებული, წესრიგდება საზოგადოების შინაგანაწესით, დებულებით, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების სახელმძღვანელოთი, რექტორის ბრძანებებით.

8.18. ნებისმიერი დავა მსმენელსა და საზოგადოებას შორის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით განიხილება რექტორის მიერ, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლოს მიერ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსით" დადგენილი წესით.

თავი IX. პარტნიორთა საერთო კრება, მისი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი

9.1. პარტნიორთა საერთო კრება (საერთო კრება), რომელიც აერთიანებს საზოგადოების ყველა პარტნიორს, წყვეტს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ, ამ თავით გათვალისწინებულ საკითხებს, აგრეთვე - ყველა სხვა საკითხს, რომლის გადაწყვეტაც ამ წესდებით, საზოგადოების შინაგანაწესით, დებულებით, ან მათ საფუძველზე მიღებული სხვა სამართლებრივი აქტით არაა მიკუთვნებული საზოგადოების სხვა ორგანოს ან თანამშრომლის კომპეტენციას.

9.2. როცა საზოგადოებაში მხოლოდ ერთი პარტნიორია, მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებები ცვლის საერთო კრების გადაწყვეტილებებს.

9.3. საერთო კრების გადაწყვეტილების შესრულება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ამ წესდებას, საზოგადოების შინაგანაწესს ან/და საზოგადოების დებულებას, სავალდებულოა ყველა პარტნიორის, რექტორის, საზოგადოების ნებისმიერი თანამშრომლის, სტუდენტისა და მსმენელისათვის.

9.4. საერთო კრების განსაკუთრებული კომპეტენციაა:

ა) საზოგადოების პარტნიორთა შორის ურთიერთობათა საკითხებზე:

ა.ა) საზოგადოების წესდების დამტკიცება და მისი მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლა;

ა.ბ) საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლა;

ა.გ) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

ა.დ) პარტნიორთა მიერ საზოგადოების კაპიტალში დამატებითი შესატანების შეტანის ოდენობის, ფორმისა და წესის დადგენა;

ა.ე) პარტნიორებისათვის კაპიტალის შენატანების უკან დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა;

ა.ვ) საზოგადოებიდან გასვლის უფლების მინიჭება იმ პარტნიორისათვის, რომლის წილი კაპიტალის 50 პროცენტს აღემატება;

ა.ზ) პარტნიორის წილის გასხვისებასთან ამ წესდებით დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ა.თ) თანხმობის მიცემა პარტნიორისათვის წილის მმართველის დანიშვნაზე ამ წესდების 2.14 პუნქტის პირობებით;

ბ) საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებზე:

ბ.ა) გადაწყვეტილების მიღება შვილობილი საწარმოების, კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირების დაარსებაზე, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე;

ბ.ბ) გადაწყვეტილების მიღება სხვა საწარმოებში წილების შეძენისა და ასეთი წილების გასხვისების თაობაზე;

ბ.გ) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების სახელშეკრულებო კონცერნებში, კონსორციუმებში, კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებსა და სხვა მსგავს გაერთიანებებში წევრად მონაწილეობის და წევრობიდან გასვლის თაობაზე;

გ) საზოგადოების სამეურნეო საქმიანობისა და ფინანსურ საკითხებზე:

გ.ა) რექტორის მოხსენების მოსმენა საზოგადოების გასული სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;

გ.ბ) გადაწყვეტილების მიღება ახალი სამეურნეო საქმიანობის წამოწყებისა და წამოწყებული საქმიანობის შეწყვეტის შესახებ;

გ.გ) ხელშეკრულებათა დამტკიცება ინვესტიციებზე, რომელთა ჯამური ღირებულება ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში აღემატება საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარს;

გ.დ) საზოგადოების მომავალი სამეურნეო წლის სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გეგმების დამტკიცება;

გ.ე) ნებართვის მიცემა რექტორისათავის უმრავი ქონების შეძენაზე (ლიზინგის ჩათვლით), დაქირავებაზე, იჯარაზე, თხოვებაზე, გასხვისებაზე (ლიზინგის ჩათვლით), ვალდებულებებით დატვირთვაზე, აგრეთვე - ერთ თვეზე მეტი ვადით გაქირავებაზე, იჯარით გაცემასა და განათხოვრებაზე;

გ.ვ) საზოგადოების წლიური ფინანსური ანგარიშგების, აუდიტორის შესაბამისი აქტის დამტკიცება;

გ.ზ) გადაწყვეტილების მიღება მოგების განაწილებაზე, ზარალის დაფარვის წესის განსაზღვრა;

გ.თ) აუდიტორის არჩევა;

გ.ი) გადაწყვეტილების მიღება დებიტორული დავალიანების ჩამოწერაზე;

დ) საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხებზე:

დ.ა) რექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;

დ.ბ) რექტორთან დასადები შრომითი ხელშეკრულების დამტკიცება;

დ.გ) საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დანიშვნა რექტორის წინააღმდეგ წარმართულ პროცესებში;

დ.დ) ნებართვის მიცემა რექტორისათვის პროკურის გაცემასა და ფრენშაიზინგის ხელშეკრულებების დადებაზე;

ე) შრომისა და საზოგადოების თანამშრომლებთან ურთიერთობების საკითხებზე:

ე.ა) საზოგადოების თანამდებობათა (საშტატო) ნუსხის დამტკიცება თითოეული თანამდებობის შრომის ანაზღაურების ზედა და ქვედა ზღვრების მითითებით;

ე.ბ) საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასანიშნი პირის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ამავე ნუსხით დადგენილი ზღვრების ფარგლებში;

ე.გ) თანხმობის მიცემა რექტორისათვის საშტატო ნუსხით გაუთვალისწინებელი დროებითი თანამდებობის შემოღებაზე და ამ თანამდებობაზე დასანიშნი პირის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა;

ე.დ) ემერიტუსისათვის აკადემიური სტიპენდიის დანიშვნა;

ე.ე) გადაწყვეტილების მიღება ლოკაუტის გამოცხადებასა და შეწყვეტაზე;

ე.ვ) გადაწყვეტილების მიღება თანამშრომელთა მასობრივ შემცირებაზე;

ვ) საზოგადოების, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, საქმიანობის საკითხებზე:

ვ.ა) უნივერსიტეტის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული, 3 წლიანი სამოქმედო გეგმების და მათი ცვლილებების დამტკიცება;

ვ.ბ) რექტორის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ;

ვ.გ) რექტორის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა გასულ წელს აკადემიური უმაღლესი განათლებისა და სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების, სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი სამუშაოების წარმოების შედეგების შესახებ;

ვ.დ) გადაწყვეტილების მიღება სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ავტორიზაციის განაცხადის წარდგენაზე;

ვ.ე) ავტორიზაციის განაცხადით წარსადგენი დოკუმენტაციის დამტკიცება;

ვ.ვ) აკადემიური უმაღლესი განათლების ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემოღების ან არსებულის გაუქმების საკითხის გადაწყვეტა;

ვ.ზ) ახალი სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემოღების ან არსებულის გაუქმების საკითხის გადაწყვეტა;

ვ.თ) მომდევნო აკადემიურ წელს აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით სასწავლებლად მისაღები სტუდენტების რაოდენობის დამტკიცება;

ვ.ი) მომდევნო აკადემიური წლისათვის აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების წლიური საფასურის ოდენობის დადგენა;

ზ) სტუდენტებთან და მსმენელებთან ურთიერთობის საკითხებზე:

ზ.ა) ამა თუ იმ კატეგორიის სტუდენტებისათვის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების საფასურზე

ფასდაკლებების და სწავლების საფასურთან დაკავშირებული სხვა შეღავათების დაწესება ამ წესდების 7.16 პუნქტის პირობებით;

ზ.ბ) კონკრეტული სტუდენტის სწავლების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების ან სწავლების საფასურის გადახდის გადავადების საკითხების გადაწყვეტა ამ წესდების 7.17 პუნქტის პირობებით;

ზ.გ) სტუდენტებისათვის ისეთი სტიპენდიების შემოღება, რომლებიც გათვალისწინებული არაა ამ წესდების 7.18 პუნქტით და მათი მინიჭების წესის დადგენა;

ზ.დ) ინდივიდუალური შეღავათების დაწესება სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის ამ წესდების 7.7 პუნქტის პირობებით;

ზ.ე) ინდივიდუალური შეღავათების დაწესება სოციალურად დაუცველი მსმენელებისათვის ამ წესდების 8.5 პუნქტის პირობებით.

9.5. რიგითი საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში. რიგითი კრების დღის წესრიგის აუცილებელი საკითხებია:

ა) რექტორის მოხსენების მოსმენა საზოგადოების გასული სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;

ბ) აუდიტორის შესაბამისი აქტის განხილვა-დამტკიცება, თუ წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება გათვალისწინებული იყო პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

გ) რექტორის ანგარიშის მოსმენა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ;

დ) რექტორის ანგარიშის მოსმენა გასულ წელს აკადემიური უმაღლესი განათლებისა და სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების, სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი სამუშოების წარმოების შედეგების შესახებ.

9.6. რიგგარეშე კრება შეიძლება გაიმართოს საჭიროების მიხედვით ნებისმიერ დროს.

9.7. საერთო კრების მოწვევა შეუძლია ნებისმიერ პარტნიორს ან რექტორს კრების გამართვის დღემდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე შეტყობინების დაგზავნის გზით ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების დადასტურების საშუალებას იძლევა. წერილობითი შეტყობინებით პარტნიორებს ეგზავნება ინფორმაცია კრების გამართვის ზუსტი დროისა და ადგილის შესახებ, კრების დღის წესრიგის პროექტი და რეკომენდაციები დღის წესრიგის ყოველ საკითხზე გადაწვეტილების მისაღებად. დღის წესრიგის პროექტი და რეკომენდაციები დგება კრების მომწვევის მიერ.

9.8. ნებისმიერ პარტნიორს უფლება აქვს, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან სამ დღეში შეიტანოს დღის წესრიგში დამატებითი საკითხები და წერილობითვე აცნობოს ამის შესახებ კრების მომწვევს კრების გამართვის დღემდე. ამ პირობის შესრულებისას დღის წესრიგის დამატებითი საკითხი ექვემდებარება აუცილებელ განხილვას.

9.9. თუ ყველა პარტნიორი საერთო კრების გამართვის დღემდე არაუგვიანეს სამი დღით ადრე წერილობით აცნობებს კრების მომწვევს, რომ ეთანხმება დღის წესრიგში დაყენებულ ყველა საკითხზე წერილობითი შეტყობინებით შეთავაზებულ

გადაწყვეტილებას, საერთო კრების გამართვა საჭირო არაა და დღის წესრიგის საკითხები გადაწყეტილად ითვლება წერილობითი შეტყობინებით შეთავაზებული ვარიანტით.

9.10. საერთო კრება არაა უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე, რომელიც შეტანილი არაა დღის წესრიგში ან შეტანილია ამ თავის 9.7-9.8 პუნქტებით განსაზღვრულ პროცედურათა დარღვევით.

9.11. საერთო კრებაში პარტნიორი მონაწილეობს უშუალოდ, რწმუნებულის ან წილის მმართველის მეშვეობით ამ წესდების 2.5 და 2.14 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. საერთო კრებაში მონაწილეობისას თითოეულ პარტნიორს აქვს იმდენი ხმა, პროცენტის რამდენ მეასედსაც შეიცავს მისი წილი საზოგადოების კაპიტალში.

9.12. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის მუშაობაში მონაწილე პარტნიორები ხმათა მთლიანი რიცხვის უმეტესობას ფლობენ. თუ კრება გადაწყვეტილებაუუნაროა, კრების მომწვევს შეუძლია, განმეორებით მოიწვიოს იგი, სულ ცოტა, ათი დღის შუალედით იგივე დღის წესრიგით. განმეორებით მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია იმ შემთხვევაშიც, როცა გამოცხადებული პარტნიორები არ ფლობენ ხმათა მთლიანი რიცხვის უმეტესობას.

9.13. საერთო კრება გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე, გარდა ამ წესდების 14.2-14.4 პუნქტებით განსაზღვრულისა, ღებულობს სხდომაზე ღია კენჭისყრით, წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით. 14.2-14.4 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება ამავე პუქტებით განსაზღვრულ ხმათა უმრავლესობით.

9.14. საერთო კრება ირჩევს თავმჯდომარეს კრებაზე წარმოდგენილ პარტნიორთაგან. თავმჯდომარე წარმართავს საერთო კრების მუშაობას დღის წესრიგის შესაბამისად, ადგენს კრების ოქმს და ამოწმებს მას თავისი ხელმოწერით. ოქმი ხელმოწერისთანავე გადაეცემა რექტორს.

9.15. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს საერთო კრების იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, რომელიც მიღებულია კანონმდებლობის ან წესდების დარღვევით და იმ პირობით, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მომჩივანი პარტნიორის დაუსწრებლად, იგი განგებ იქნა შეყვანილი შეცდომაში გადაწყვეტილების არსთან დაკავშირებით ან გადაწყვეტილების მიღებისას იგი უმცირესობაში დარჩა. კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება, თუ საერთო კრება მოწვეული იყო ამ წესდების პირობების დაცვით, დასაშვებია კრების ოქმის შედგენის დღიდან ორი თვის ვადაში.

9.16. საერთო კრების ოქმები და კრების მოწვევის დოკუმენტები ინახება საზოგადოების რექტორთან. რექტორი ვალდებულია, საერთო კრების გადაწყვეტილებები ოპერატიულად მიაწოდოს შესასრულებლად საზოგადოების შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფებს. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიიღოს საერთო კრების ნებისმიერი ოქმის დამოწმებული ასლი ან დამოწმებული ამონაწერი ნებისმიერი ოქმიდან. რექტორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს პარტნიორის მოთხოვნა ამ საკითხზე.

თავი X. აკადემიური საბჭო, მისი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი

10.1. აკადემიური საბჭო შედგება რექტორისა და 4 წლის ვადით არჩეული ფაკულტეტების 5-5 წევრისაგან.

10.2. აკადემიური საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც არ არის საზოგადოების პარტნიორი,

წილის მმართველი, უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი და არ უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

10.3. ერთიდაიგივე პირი აკადემიური საბჭოს წევრად ზედიზედ შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ 2 ვადით.

10.4. აკადემიური საბჭოს წევრებს, გარდა რექტორისა, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ირჩევენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამშრომლები და ის სტუდენტები, რომლებიც არჩეული არიან ფაკულტეტის მმართველ ორგანოში (ფაკულტეტის საბჭოში) სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.

10.5. უნივერსიტეტის პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის საქმიანობა აკადემიური საბჭოს წევრად არ ანაზღაურდება. ეს საქმიანობა ჩაითვლება პროფესორის/ასოცირებული პროფესორის წლიურ აკადემიურ დატვირთვაში შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული წესით.

10.6. აკადემიური საბჭოს არჩეული წევრის უფლებამოსილება წყდება მისი არჩევიდან 4 წლის გასვლისას, აგრეთვე, თუ მას შეუწყდება უნივერსიტეტის პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის უფლებამოსილება, საკუთრებად ან სამართავად მიიღებს წილს საზოგადოების კაპიტალში, დაიკავებს უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის თანამდებობას, ადმინისტრაციულ ან აკადემიურ თანამდებობას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საპატიო მიზეზის გარეშე 5-ჯერ გააცდენს საბჭოს სხდომას ან თავს შეიკავებს აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის დროს ხმის მიცემისაგან.

10.7. აკადემიური საბჭოს წევრი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ვადამდე შეიწყვიტოს უფლებამოსილება საკუთარი სურვილით.

10.8. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესები დგინდება საზოგადოების დებულებით.

10.9. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოს დამტკიცება;

ბ) შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული დოკუმენტების შედგენის ინსტრუქციის დამტკიცება;

გ) შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციის დამტკიცება;

დ) აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) დამტკიცება პროგრამის ყველა კომპონენტის სილაბუსთან ერთად;

ე) დასკვნის მომზადება აკადემიური უმაღლესი განათლების ახალი საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) პროექტის შინაარსზე, პროექტის დამტკიცება;

ვ) მომავალ აკადემიურ წელს აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი მისაღები გამოცდების შედეგებით მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა;

ზ) მომავალ აკადემიურ წელს აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღებად ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის:

ზ.ა) იმ ერთი ან რამოდენიმე უცხო ენის განსაზღვრა, რომელშიც უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდა აბიტურიენტმა;

ზ.ბ) სხვა საგნების განსაზღვრა (უცხო ენების გარდა), რომლებშიც უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდა აბიტურიენტმა;

თ.გ) ამ თავის „ზ.ბ" ქვეპუნქტით არჩეული თითოეული საგნის გამოცდაჩაბარებული აბიტურიენტების მინიმალურ კვოტის განსაზღვრა, თუ საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად დასაშვებია ჩასაბარებელი გამოცდის არჩევა რამოდენიმედან;

ზ.დ) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენა თითოეული საგნის გამოცდისათვის;

ზ.ე) თითოეული ჩასაბარებელი გამოცდისათვის მისანიჭებელი კოეფიციენტის განსაზღვრა;

თ) მომავალ აკადემიურ წელს აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღებად საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის:

თ.ა) გამოცდის ტესტის იმ ნაწილების განსაზღვრა, რომლებშიც მაგისტრანტობის კანდიდატმა აუცილებლად უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომ დაშვებულ იქნას უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელ სამაგისტრო გამოცდაზე;

თ.ბ) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენა საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ყოველი ნაწილისათვის;

თ.გ) გამოცდისათვის მისანიჭებელი კოეფიციენტის დადგენა;

ი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენა უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სამაგისტრო გამოცდისათვის;

კ) უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სამაგისტრო გამოცდისათვის მისანიჭებელი კოეფიციენტის დადგენა.

ლ) სსიპ განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ ანკეტა-კითხვარსა და ანოტაციებში საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტების დამატებების/ცვლილებების დამტკიცება საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წელს;

მ) უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სამაგისტრო გამოცდების საგამოცდო საკითხებისა და დავალებების, გამოცდის შედეგების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცება;

ნ) გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებში უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სადოქტორო გამოცდების ტესტებისა და მათი შეფასების ინსტრუქციის, დოქტორანტურის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი

სადოქტორო გამოცდის ფორმის და გამოცდის შედეგების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცება;

ო) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტით დასაფინანსებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის შესარჩევი კონკურსის საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცება;

პ) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებული განაცხადების შემფასებელი კომისიის დებულების დამტკიცება;

ჟ) უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო (სამეცნიერო-პრაქტიკული) კონფერენციის მოწყობის ინიცირება;

რ) აკადემიური პერსონალის თანამშრომლის საზოგადოებასთან აფილირების წესის დამტკიცება;

ს) აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობისა და საუნივერსიტეტო სტანდარტთან შესაბამისობაზე ყოველწლიური დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის საფუძველზე ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიღება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

ს.ა) პროგრამის (კურიკულუმის) უცვლელად დატოვება;

ს.ბ) ცვლილებების შეტანა პროგრამის ან/და მისი ცალკეული კომპონენტების შინაარსში, მოცულობაში, სწავლების კალენდარულ გეგმაში, სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში განხილული რეკომენდაციების შესაბამისად;

ს.გ) მიმართვა საერთო კრებისადმი პროგრამის განხორციელების შეწყვეტის რეკომენდაციით;

ტ) გასულ წელს უნივერსიტეტის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დასკვნის განხილვა და რეკომენდაციების დამტკიცება საერთო კრებისათვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

უ) უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და დასკვნისა და რეკომენდაციების დამტკიცება პროექტების შესახებ საერთო კრებისათვის წარსადგენად;

ფ) მონაცემების სტატისტიკური დამუშავების ინსტრუქციის დამტკიცება აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტების სირთულის ხარისხისა და სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდების ადეკვატურობის შესახებ ყოველწლიური ინფორმაციის მომზადების მიზნით, ამ ინფორმაციის განხილვა ყოველწლიურად;

ქ) ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მოწვევის ინიცირება;

ღ) ემერიტუსის საპატიო წოდების მინიჭება უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორისათვის, რომელსაც შეუსრულდა 70 წელი;

ყ) გამონაკლისის სახით, ერთჯერადი უფლების მინიჭება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი ასოცირებული პროფესორისათვის ან მოწვეული პროფესორისათვის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე;

შ) საზოგადოების თანამშრომელთა სადისციპლინო კომისიის 2 წევრის არჩევა თავისი შემადგენლობიდან.

ჩ) აკადემიური პერსონალის ატესტაციის წესისა და პირობების დამტკიცება

10.10. ამ თავის 10.9 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების წესები და ვადები განისაზღვრება საზოგადოების დებულებითა და შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოთი.

10.11. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა რექტორი. რექტორის არყოფნისას აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა საბჭოს უხუცესი წევრი. თავმჯდომარე წარმართავს აკადემიური საბჭოს საქმიანობას განკარგულებათა გამოცემის გზით საბჭოს საქმიანობის საორგანიზაციო საკითხებზე. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებათა შესრულება სავალდებულოა საბჭოს ყველა წევრისათვის.

10.12. აკადემიური საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სწავლულ მდივანს. სწავლული მდივნის არყოფნისას აკადემიური საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებელს. სწავლული მდივანი ადგენს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებათა პროექტებს და აწარმოებს აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმს.

10.13. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე იღებს თავის სხდომებზე, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრისას აკადემიური საბჭოს ყოველ წევრს ერთი ხმა აქვს. აკადემიური საბჭოს წევრს უფლება არ აქვს, თავი შეიკავოს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან (მომხრედ ან მოწინააღმდეგედ).

10.14. აკადემიური საბჭოს სხდომებს იწვევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი, საერთო კრების, აკადემიური საბჭოს 3 წევრის, ფაკულტეტის საბჭოს ან სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით. სხდომის დღის წესრიგს და დღის წესრიგის საკითხებზე მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტებს ადგენს სხდომის მოწვევის ინიციატორი. სხდომა მოწვეულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დღის წესრიგში შეტანილი საკითხები და მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტები მომზადებულია სხდომაზე განსახილველად და წერილობითი სახითაა ჩაბარებული აკადემიური საბჭოს თავმჯდომარისათვის. საბჭო ვალდებულია, სხდომაზე მოუსმინოს სხდომის მოწვევის ინიციატორს.

10.15. აკადემიური საბჭოს სხდომა, როგორც წესი, იმართება სამუშაო საათებში. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას.

10.16. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომას იწვევს განკარგულებით, რომელსაც გამოსცემს სხდომის გამართვის დღემდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე. განკარგულება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში. განკარგულების გამოცემის მომდევნო სამუშაო დღეს სწავლული მდივანი პერსონალურად აცნობებს სხდომის დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს ყველა წევრს ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით და ელექტრონული ფოსტით უგზავნის მათ დღის წესრიგსა და გადაწყვეტილებათა პროექტებს.

10.17. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს 5 ან მეტი სხვა წევრი. თუ მოწვეულ სხდომაზე შეიკრიბება საბჭოს 5 წევრზე ნაკლები, თავმჯდომარე განმეორებით იწვევს სხდომას იგივე დღის წესრიგით, ამ თავის 10.16 პუნქტით გათვალისწინებული წესით. შუალედი არშემდგარ და ახლად მოწვეულ სხდომებს შორის არ

უნდა იყოს 8 დღეზე ნაკლები და 11 დღეზე მეტი. თუ მეორედ მოწვეული სხდომაც არ შედგა საბჭოს წევრთა გამოუცხადებლობის გამო, რექტორი ვალდებულია, დააყენოს საბჭოს იმ წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, რომელთა გამოუცხადებლობის გამოც არ შედგა სხდომა. საკითხს განიხილავს თანამშრომელთა სადისციპლინო კომისია. საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ჰქონდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

10.18. აკადემიური საბჭოს სხდომებზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პარტნიორს, რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, სტრუქტურული ქვედანაყოფის, ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარეს და ფაკულტეტის მმართველი ორგანოს (ფაკულტეტის საბჭოს) წევრ სტუდენტს იმ პირობით, რომ იგი ამის შესახებ წერილობით გააფრთხილებს სწავლულ მდივანს არაუგვიანეს სხდომის გამართვის წინა სამუშაო დღისა.

10.19. სხდომის დამთავრებისთანავე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი ხელს აწერენ სხდომის ოქმს. საბჭოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში დებულებით დადგენილი წესით.

10.20. საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორი, თანამშრომელი, სტუდენტი უფლებამოსილია, მიიღოს აკადემიური საბჭოს ნებისმიერი სხდომის დამოწმებული ასლი ან ამონაწერი.

10.21. საერთო კრება უფლებამოსილია, გააუქმოს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, თუ იგი მიღებულია სხდომაზე, რომელიც მოწვეულია ამ თავით გათვალისწინებული წესების დარღვევით, მიღებულია აკადემიური საბჭოს ამ თავით განსაზღვრული უფლებამოსილებების დარღვევით, ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ამ წესდების, დებულების, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოს ან საერთო კრების ადრე მიღებული გადაწყვეტილების ნორმებს.

10.22. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჩივარი წარედგინება რექტორს, რომელიც ვალდებულია, დაუყოვნებლივ, ელექტრონული ფოსტით გადაუგზავნოს მისი ელექტრონული ასლები ყველა პარტნიორს.

თავი XI. რექტორი, მისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა

11.1. საზოგადოების ოპერატიულ მართვას ახორციელებს რექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორთა საერთო კრება. რექტორი პასუხისმგებელი არის პარტნიორთა კრების წინაშე.

11.2. რექტორად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეზღუდული აქვს პედაგოგიური საქმიანობის უფლება.

11.3. რექტორად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სულ ცოტა, 3 წლის გამოცდილება.

11.4. რექტორს არ აქვს უფლება, პარტნიორთა საერთო კრების თანხმობის გარეშე ინდივიდუალურად ეწეოდეს იგივე საქმიანობას, რასაც ეწევა საზოგადოება, იყოს

ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობის პირი სხვა საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, ხელმძღვანელი ან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი სხვა ისეთ საწარმოში, რომელიც ეწევა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. თუ რექტორად დანიშვნისას საზოგადოების პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ დანიშნული პირი ასეთ საქმიანობას ეწეოდა და მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვიათ, საერთო კრების თანხმობა მიცემულად ჩაითვლება. ამ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში რექტორი ვალდებულია, დააბრუნოს საზოგადოებისაგან რექტორად მუშაობის პერიოდში მიღებული მთელი სიკეთე.

11.5. რექტორის მიერ ამ თავის 11.4 პუნქტის მოთხოვნების დარღვევის შედეგად საზოგადოებას მიადგება ზიანი, დამრღვევი ვალდებულია, აანაზღაუროს იგი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ პარტნიორს.

11.6. რექტორი საზოგადოების ხელმძღვანელობით უფლებამოსილებებს ახორციელებს ერთპიროვნულად.

11.7. რექტორის მმართველობითი გადაწყვეტილებები ფორმდება ბრძანებების სახით. რექტორის ბრძანების შესრულება, თუ იგი არ სცილდება მის უფლებამოსილებას, არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ამ წესდებას და გამოცემულია კანონმდებლობისა და საზოგადოების სამართლებრივი აქტების ნორმათა დაცვით, სავალდებულოა შესასრულებლად საზოგადოების ყველა თანამშრომლის, სტუდენტისა და მსმენელისათვის.

11.8. რექტორის არყოფნისას მის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებებს ასრულებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

11.9. რექტორი პასუხს აგებს თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის მაშინაც, როცა იგი მოქმედებს პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესასრულებლად. ამგვარი პასუხისმგებლობის დადგომისას რექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

11.10. საზოგადოების უარი 11.9 პუნქტით განსაზღვრული რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ან სხვაგვარი კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რექტორი გადახდისუუნაროა ან როცა ამ საკითხზე საზოგადოება შეუთანხმდება თავის კრედიტორებს.

11.11. რექტორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება ერთ-ერთი პარტნიორის ინიციატივით შრომითი დისციპლინის ან ქცევის სხვა წესების შინაგანაწესით გათვალისწინებინებულ დარღვევათა შემთხვევაში. საზოგადოების შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომის შეფარდებაზე გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, რომელიც თვითონვე (თანამშრომელთა სადისციპლინო კომისიის ნაცვლად) ახორციელებს დისციპლინურ წარმოებას ამ წესდებისა და შინაგანაწესის ნორმათა დაცვით.

11.12. სამართლებრივი ურთიერთობები საზოგადოებასა და რექტორს შორის წესრიგდება შრომითი ხელშეკრულებით, რომელსაც ამტკიცებს საერთო კრება. ხელშეკრულებას საზოგადოების სახელით ხელს აწერს საერთო კრების იმ სხდომის თავმჯდომარე, რომელმაც დაამტკიცა ხელშეკრულება.

11.13. ყოველგვარი დავა საზოგადოებასა და რექტორს შორის ამ წესდებით განსაზღვრული ურთიერთობების ფარგლებში განიხილება სასამართლოს ან, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიმე არბიტრაჟის მიერ. საზოგადოებას ამ ურთიერთობებში წარმოადგენს საერთო კრების მიერ დანიშნული პირი.

11.14. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" სტუდენტის ეთიკის კოდექსი და შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" დებულება მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

თავი XII. საზოგადოების წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობებში

12.1. საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენენ: რექტორი, პროკურისტები, რწმუნებულები, სავაჭრო წარმომადგენლები და კომისიონერები. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოება შეიძლება წარმოადგინოს გაკოტრების მმართველმა ან სასამართლოს მიერ ლიკვიდატორად დანიშნულმა სხვა პირმა. რექტორთან ურთიერთოებებში საზოგადოების წარმომადგენლობა განისაზღვრება პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

12.2. მესამე პირთა ნება საზოგადოების მიმართ ნამდვილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნება გამოხატულია რექტორის ან შესაბამის საქმეზე საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირის მიმართ.

12.3. რექტორს, პარტნიორთა საერთო კრების თანხმობით, შეუძლია, კერძო სამართლის ნებისმიერ იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს მისცეს გენერალური სავაჭრო მინდობილობა – პროკურა. ასეთი მინდობილობა ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას და ძალაშია მხოლოდ ასეთი რეგისტრაციის დღიდან.

12.4. გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირი – პროკურისტი, საზოგადოებას წარმოადგენს ერთპიროვნულად ნებისმიერ ურთიერთობებში, რომლებშიც საზოგადოება შეიძლება წარმოადგინოს რექტორმა, გარდა საზოგადოების მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის (სერვიტუტი, უზუფრუქტი, აღნაგობა, იპოთეკა, გირავნობა, იჯარა და ა.შ) ურთიერთობებისა (ამ ურთიერთობებში საზოგადოების წარმომადგენლობაზე პროკურისტი უფლებამოსილია, თუ ეს სპეციალურადაა აღნიშნული პროკურაში) და ურთიერთობებისა საზოგადოების რექტორსა და თანამშრომლებს ან პარტნიორებს შორის, რომლებიც ამ წესდებით ან საზოგადოების დებულებით რეგულირდება.

12.5. პროკურისტის პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ისეთივეა, როგორიც რექტორისა.

12.6. პროკურისტები და რწმუნებულები ვალდებული არიან, დოკუმენტებზე საზოგადოების სახელით ხელმოწერისას საზოგადოების საფირმო სახელწოდებას დაურთონ თავიანთი სახელი და გვარი და პროკურის ან მინდობილობის აღმნიშვნელი დამატება.

12.7. პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის გაცემა არ ზღუდავს რექტორის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს.

12.8. მინდობილობა ან პროკურა უქმდება შესაბამის დოკუმენტში მითითებული ვადის გასვლით. ამ ვადის გასვლამდე მინდობილობა ან პროკურა ნებისმიერ დროს შეიძლება გაწყდეს გამცემი პირის მიერ მისი გაუქმებით ან ძალადაკარგულად აღიარებით.

ძალადაკარგულად აღიარება გულისხმობს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში. პროკურის გაუქმება ან გაწყვეტა შეტანილ უნდა იქნას მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

12.9. მესამე პირებთან საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში (გარდა აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების რეალიზაციისა) საზოგადოება შეიძლება წარმოადგინონ:

ა) სავაჭრო წარმომადგენლებმა – პირებმა, რომლებიც არ არიან დასაქმებული საზოგადოებაში, მაგრამ უფლებამოსილი არიან, მისი სახელით და ხარჯით დადონ გარიგება;

ბ) კომისიონერებმა – მეწარმე ფიზიკურმა პირებმა ან სამეწარმეო იურიდიულმა პირებმა, რომლებიც უფლებამოსილი არიან საკუთარი სახელითა და საზოგადოების ხარჯით დადონ გარიგება;

გ) საზოგადოების თანამშრომლებმა, რომელთათვისაც ამგვარ ურთიერთობათა წარმოება ჩვეულებრივ მოვალეობას წარმოადგენს.

12.10. სავაჭრო წარმომადგენლებისა და კომისიონერების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განისაზღვრება ხელშეკრულებით საზოგადოებასა (რექტორის სახით) და სავაჭრო წარმომადგენლებს ან კომისიონერებს შორის. საზოგადოების თანამშრომლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

12.11. ლიკვიდაციის პერიოდში გაკოტრების მმართველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ", ხოლო სხვა ლიკვიდატორების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება - ამ წესდების XIV თავით.

12.12. ყოველგვარი დავა საზოგადოებასა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის ამ წესდებით განსაზღვრული ურთიერთობების ფარგლებში განიხილება სასამართლოს ან, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიმე არბიტრაჟის მიერ.

თავი XIII. აღრიცხვა, ანგარიშგება, კონტროლი

13.1. საზოგადოება აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

13.2. კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგების გარდა ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებელთათვის სხვა რაიმე ანგარიშგების წარდგენა აკრძალულია. მონაცემები, რომლებიც არაა გათვალისწინებული ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგებით, შეიძლება გაიცეს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

13.3. სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ საზოგადოების საქმიანობის ცალკეული მხარეების შემოწმება, შეუძლიათ გააკონტროლონ იგი საჭიროებისამებრ და მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. საზოგადოებას უფლება აქვს, არ შეასრულოს ამ ორგანოთა ის მოთხოვნები, რომლებიც სცილდება მათ კომპეტენციას და არ გააცნოს ისინი მასალებს, რომლებიც არ ეხება კონტროლის საგანს.

13.4. საზოგადოება 6 წლის განმავლობაში ინახავს საბუღალტრო წიგნებსა და სხვა საბუღალტრო დოკუმენტებს, საინვენტარიზაციო ნუსხებს, ბალანსებს, მათ განმარტებით

საორგანიზაციო ჩანაწერებსა და სამუშაო ინსტრუქციებს, ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით მიღებულ და გაგზავნილ საქმიან კორესპონდენციას.

13.5. ბუღალტრული ანგარიშგება დგება ერთ სამეურნეო წელზე. სამეურნეო წელი საზოგადოებაში იწყება კალენდარული წლის 1 იანვარს, მთავრდება იმავე კალენდარული წლის 31 დეკემბერს და შეადგენს 12 კალენდარულ თვეს.

13.6. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების სისრულის და უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოება სამეურნეო წლის განმავლობაში პერიოდულად ატარებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ ინვენტარიზაციას.

13.7. სამეურნეო წლის განმავლობაში ინვეტარიზაციების ჩატარების პერიოდულობას, თარიღებსა და საინვენტარიზაციო ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნუსხას ადგენს რექტორი მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დაცვით. ინვენტარიზაცია ტარდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.8. სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის ვადაში საზოგადოების რექტორმა უნდა შეადგინოს და პარტნიორთა საერთო კრებას წარუდგინოს:

ა) გასული სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება;

ბ) ანგარიში გასულ სამეურნეო წელს აკადემიური უმაღლესი განათლებისა და სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების, სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი სამუშოების წარმოების შედეგების შესახებ და ანგარიში სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ.

13.9. საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება ამ თავის 13.8 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშების განხილვის საფუძველზე აფასებს რექტორის საქმიანობას.

13.10. საზოგადოებას შეუძლია, პერიოდულად, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ჩაატაროს თავისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია ამ საქმიანობის, წლიური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრების კანონმდებლობასა და წესდებასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

13.11. რევიზიის ჩასატარებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარტნიორთა საერთო კრება.

13.12. საზოგადოების ყველა თანამშრომელი ვალდებულია, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს აუდიტორს მისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი და ახსნა-განმარტება.

13.13. რევიზიის შედეგებს აუდიტორი აფორმებს აუდიტორული აქტის სახით.

13.14. თუ მოწვეულია დამოუკიდებელი აუდიტორი ფინანსური ანგარიშგების კანონმდებლობასთან შესაბამისობის რევიზიის ჩატარების მიზნით, წლიური ფინანსური ანგარიშგება მხოლოდ შესაბამის აუდიტორულ აქტთან ერთად წარედგინება დასამტკიცებლად საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრებას.

13.15. თუ რევიზია მოეწყო წლიური ანგარიშგების შემოწმების მიზნით, რევიზიის მოწყობის შემდეგ წლიურ ანგარიშგებაში რექტორის მიერ ცვლილებების შეტანის შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია, მოაწყოს განმეორებითი რევიზია.

13.16. რევიზიები და შემოწმებები არ უნდა არღვევდეს საზოგადოების ნორმალური მუშაობის რეჟიმს.

13.17. აუდიტორს არა აქვს უფლება, გააცნოს ვინმეს შემოწმების რევიზიის/შედეგები, გარდა პარტნიორთა საერთო კრებისა (იმ შემთხვევათა გარდა, როცა იგი კანონითაა

ვალდებული, წარუდგინოს მის ხელთ არსებული მონაცემები სასამართლოს ან როცა კანონით ამ ცნობების დაფარვა დანაშაულებრივ ქმედებას ნიშნავს).

თავი XIV. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

14.1. საზოგადოების რეორგანიზაციაში იგულისხმება მისი სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ გარდაქმნა, სხვა საწარმოსთან (საწარმოებთან) შერწყმა ან რამოდენიმე საწარმოდ გაყოფა. ამ თავის დებულებები არ ვრცელდება პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების შიგა სტრუქტურულ გარდაქმნებთან შტატების რეორგანიზაციის ან შემცირების, სტრუქტურული ერთეულების გახსნისა და ლიკვიდაციის ჩათვლით. ეს საკითხები რეგულირდება საზოგადოების შინაგანაწესით. საზოგადოების ლიკვიდაციაში იგულისხმება პროცესი, რომლის დასრულების შედეგადაც საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, წყვეტს არსებობას ისე, რომ არ რჩება მისი არცერთი უფლებამონაცვლე.

14.2. საზოგადოება შეიძლება გარდაიქმნას სააქციო, სოლიდარული პასუხისმგებლობის, კომანდიტურ საზოგადოებად ან კოოპერატივად. გარდაქმნისათვის საჭიროა პარტნიორთა გადაწყვეტილება, მიღებული კრებაზე წარმოდგენილ ხმათა 75%-ით ან მეტით სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შემთხვევაში და წარმოდგენილ ხმათა 100%-ით სხვა შემთხვევებში.

14.3. საზოგადოება, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია კრებაზე წარმოდგენილი ხმების 75%-ით ან მეტით, შეიძლება, შეუერთდეს სხვა საწარმოს (საწარმოებს). შერწყმისას წარმოქმნილი საწარმო საზოგადოების უფლებამონაცვლეა. თუ ამ წესით საზოგადოებას მიუერთდება სხვა საწარმო (საწარმოები), საზოგადოება ამ საწარმოს (საწარმოების) უფლებამონაცვლე ხდება. თუ საზოგადოებისა და სხვა საწარმოს (საწარმოების) შერწყმით ახალი საწარმო წარმოიქმნება, ეს საწარმო საზოგადოების უფლებამონაცვლე ხდება. საზოგადოებასთან სხვა საწარმოს მიერთების, საზოგადოების სხვა საწარმოსთან მიერთების ან გაერთიანების შემთხვევაში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა უფლებამონაცვლე საწარმოში განისაზღვრება საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

14.4. საზოგადოება, პარტნიორთა საერთო კრების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, შეიძლება დაიყოს რამოდენიმე ნაწილად და თითოეული მათგანი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ საწარმოდ თავისი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოებში საზოგადოების პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გაყოფის თაობაზე. ეს საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე, რომლებიც გაყოფამდე წარმოიშვა. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი რომელი საწარმო რჩება საზოგადოების უფლებმონაცვლედ, განისაზღვრება გაყოფის თაობაზე პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

14.5. საზოგადოების გარდაქმნის (გარდა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნისა და იმ შემთხვევისა, როცა იგი მიიერთებს შვილობილ საწარმოს, რომლის კაპიტალის 100%-ის მფლობელი თვითონაა), სხვა სწარმოსთან მიერთების ან გაყოფის დაწყების შესახებ პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს, კრების გადაწყვეტილებასთან ერთად,

უნდა წარედგინოს ყველა ცნობილი კრედიტორის სია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების თარიღების მითითებით. გადაწყვეტილება რეორგანიზაციის დაწყების შესახებ და ინფორმაცია მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადებზე საზოგადოებამ უნდა გაუგზავნოს ყველა ცნობილ კრედიტორს. რეორგანიზაცია დაწყებულად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილების რეგისტრაციის მომენტიდან. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, არ დაარეგისტრიროს საზოგადოების რეორგანიზაციის დაწყება, თუ ამ მომენტისათვის საზოგადოებას აქვს დავალიანება სახელმწიფოს მიმართ. რეორგანიზაციის დაწყებიდან მის დამთავრებამდე პერიოდში საზოგადოება ვალდებულია, ნებისმიერ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ცნობილი კრედიტორებისა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადების შესახებ. ამ პერიოდში (გარდა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნისა და იმ შემთხვევისა, როცა იგი მიიერთებს შვილობილ საწარმოს, რომლის კაპიტალის 100%-ის მფლობელი თვითონაა) კრედიტორები უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ საზოგადოებისაგან მათ მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულება.

14.6. თუ საზოგადოების, როგორც იურიდიულ პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება, მისი რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) პროცედურების დაწყება დაუშვებელია ამ საქმის წარმოების დაწყებიდან მის შეწყვეტამდე ან გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

14.7. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს რეორგანიზაციის დაწყებიდან 4 თვისა (თუ რეორგანიზაციის პროცესი გაგრძელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყეტილებით საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების გამო - საგადასახადო შემოწმების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა), პარტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შესახებ და წარუდგენს მას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

14.8. საზოგადოების ლიკვიდაცია შესაძლებელია:

ა) პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

ბ) საზოგადოების მიმართ გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შემთხვევაში, როცა საზოგადოება ვალაუვალი ხდება ან როცა ვალები გადააჭარბებს მის ქონებას,

გ) სასამართლოს მიერ საზოგადოების მიმართ სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

14.9. ლიკვიდაციას 14.8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ახორციელებს საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების მიერ დანიშნული პირი (პირები). ლიკვიდაციას 14.8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ახორციელებს გაკოტრების მმართველი, რომელსაც ნიშნავენ კრედიტორები და განჩინებით ამტკიცებს სასამართლო „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით. ლიკვიდაციას 14.8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული პირი.

14.10. ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირის (პირების) პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ისეთივეა, როგორიც რექტორისა.

14.11. საზოგადოების ლიკვიდაციის დაწყების შესახებ პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს, კრების გადაწყვეტილებასთან ერთად, უნდა წარედგინოს ყველა

ცნობილი კრედიტორის სია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების თარიღების მითითებით. გადაწყვეტილება ლიკვიდაციის დაწყების შესახებ და ინფორმაცია მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადებზე საზოგადოებამ უნდა გაუგზავნოს ყველა ცნობილ კრედიტორს. ლიკვიდაცია დაწყებულად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილების რეგისტრაციის მომენტიდან. ლიკვიდაციის დაწყებიდან ქონების განაწილების დაწყებამდე პერიოდში ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, ნებისმიერ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ცნობილი კრედიტორებისა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადების შესახებ. ლიკვიდაციის დაწყებიდან მის დასრულებამდე პერიოდში კრედიტორები უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ საზოგადოებისაგან მათ მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულება.

14.12. ლიკვიდაციის დაწყება არის საფუძველი:

ა) უნივერსიტეტის ავტორიზაციის და აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გაუქმებისა;

ბ) უნივერსიტეტის სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის და მათი მობილობის უფლების წარმოშობისა ლიკვიდაციის დაწყების დღიდან 5 წლის ვადით;

გ) თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტისა.

14.13. ლიკვიდაციის დაწყებიდან არაუგვიანეს 90-ე დღისა ლიკვიდატორმა შეიძლება დაიწყოს საზოგადოების ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონით. ამ გზით მიღებული თანხები უნდა განთავსდეს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. თუ პარტნიორები გადაწყვეტენ ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების ნატურით განაწილებას, ისინი ვალდებული არიან, მიაბარონ ეს ქონება ერთ-ეთრ პარტნიორს და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ მისი პირველადი სახით შენარჩუნება ნატურით გაყოფამდე. დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების გამოყენება ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე დასაშვებია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით.

14.14. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს ლიკვიდაციის დაწყებიდან 4 თვისა (თუ ლიკვიდაციის პროცესი გაგრძელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების გამო - საგადასახადო შემოწმების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა) ლიკვიდატორი იღებს გადაწყეტილებას ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ და წარუდგენს მას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამის საფუძველზე აუქმებს საზოგადოების რეგისტრაციას.

14.15. საზოგადოების მიბარებული ქონება ან/და დეპოზიტზე განთავსებული თანხები რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ ნაწილდება პარტნიორთა შორის კაპიტალში მათი წილების პროპორციულად. საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებიდან ქონების განაწილების დაწყებამდე პერიოდში ეს ქონება ან/და თანხები გამოიყენება კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თუ აღმოჩნდა, რომ ლიკვიდაციის პროცესში მათი მოთხოვნები სრულად არ დაკმაყოფილებულა.

14.16. ლიკვიდაციის, სხვა საწარმოსთან მიერთების ან გაერთიანების შემთხვევაში საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, წყვეტს არსებობას, შესაბამისად წყდება მისი უფლებაუნარიანობაც.

თავი XV. დასკვნითი დებულებები

15.1. ეს წესდება შედგენილია სამ ეგზემპლარად. სამივე ეგზემპლარი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა. მათგან ერთი ყოველთვის უნდა ინახებოდეს რექტორთან.

15.2. ამ წესდებაში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება ძალაშია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების შესაბამისი ოქმის სანოტარო წესით ან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დამოწმებისა და, როცა ცვლილებები შეეხება სარეგისტრაციო მონაცემებს, მოქმედი წესით ამ ცვლილებების მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. ამის გარეშე პარტნიორთა ყოველგვარი ზეპირი თუ წერილობითი შეთანხმება ამ წესდების ცვლილებათა შესახებ საზოგადოების კრედიტორებისა და სხვა მესამე პირებისათვის ბათილია.

15.3. თუ მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების გამო ამ წესდების ესა თუ ის დებულება ბათილდება ან სხვაგვარად წესრიგდება, პარტნიორები ვალდებული არიან, შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ წესდებაში. როცა ასეთი ცვლილებები წესდებაში შეტანილი მაინც არაა, შესაბამისი ურთიერთობები წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით.

15.4. ამ წესდების ნორმებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საზოგადოების ნებისმიერი სხვა სამართლებრივი აქტის ნორმების მიმართ.

15.5. საზოგადოების შინაგანაწესისა და საზოგადოების დებულების ნორმებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საზოგადოების ნებისმიერი სხვა სამართლებრივი აქტის ნორმების მიმართ, გარდა ამ წესდებისა.

15.6. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საზოგადოების ნებისმიერი სამართლებრივი აქტის ნორმების მიმართ გარდა ამ წესდების, შინაგანაწესისა და დებულებისა.

15.7. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა რექტორის ბრძანების ნორმების მიმართ.

პარტნიორის ხელმოწერა:

ლაშა კანდელაკიშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №1094
თარიღი "20" მარტი 2019 წ.
მამ.რაოდენობა 39 ხელმოწერა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დამფუძნებლის

გადაწყვეტილება

ქ. თბილისი 18 მარტი 2019 წელი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი -ს (ს/კ 212677094) 100% -იანი წილის მესაკუთრის, შპს ევროპის უნივერსიტეტის (ს/კ 201954956) მიერ (წარმოდგენილი დირექტორის ლაშა კანდელაკიშვილის სახით პ/ნ 40001006991) მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილება

1. დამტკიცდეს შპს „ევროპის უნივერსიტეტის" (ს/კ 201954956) მფლობელობაში არსებული შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" (ს/კ 212677094) წესდების ახალი რედაქცია;
2. დარეგისტრირდეს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" (ს/კ 212677094) წესდების ახალი რედაქცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში.

შპს ევროპის უნივერსიტეტის
დირექტორი:

ლაშა კანდელაკიშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №1094
თარიღი "20" მარტი 2019 წ.
გვ.რაოდენობა 1 ხელმოწერა